პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №16

2018 წ. "06" 03

ქ.თბილისი

სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ლაკადასათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №22 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეიცვალოს სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ლაკადასათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №22 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ "ლაკადას" (ს/კ: 242728679) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ფილამწყობი (1)	მესამე	ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040682	83	98	ქართული	24	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ქ. ჯვარი ყაზბეგის 2
2	ზეინკალ-სანტექნიკოს (1)	მესამე	ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040676	86	101	ქართული	24	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ქ. ჯვარი ყაზბეგის 2
3	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	24	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ქ. ჯვარი ყაზბეგის 2

(1) აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 მარტის №2 სხდომის ოქმის მეექვსე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ელგუჯა მელაძე

მდივანი
ანასტასია ქიტიაშვილი